საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის პირველი კვარტლის ანგარიში

აპრილი, 2019 წელი

სარჩევი

მიმოხილვა 3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 3
პორტფელის მართვა 6
მართვის საინფორმაციო სისტემა და ანაზღაურების ინსტრუქცია 7
წლიური ანგარიში 8
ევროდირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი 9

მიმოხილვა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს 2019 წლის პირველი კვარტლის ძირითადი საქმიანობა მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ანაზღაურების ინსტრუქციის ჩამოყალიბების მიმართულებით წარიმართა.

სააგენტომ მოამზადა 2018 წლის ანგარიში და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარუდგინა შესაბამის უწყებებს - საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს. ანგარიში ასევე გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

გამოცხადდა ტენდერი მართვის საინფორმაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვაზე და გამოვლინდა კომპანია, რომელიც უახლოესი 6 თვის განმავლობაში დაამზადებს შესაბამის პროგრამას.

სააგენტოში გრძელდება მუშაობა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და შესაბამის ევროდირექტივებთან დაახლოების მიმართულებით.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2019 წლის იანვრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 23 596 527 283 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 223 384 103 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 643 175 852 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 313 555 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2019 წლის თებერვლის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 23 746 730 039 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 426 637 072 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 669 294 990 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 329 968 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის მარტის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 23 980 656 098 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 497 862 595 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 650 143 876 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 319 597 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 0.12%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 0.99%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირის დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 0.01%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2019 წლის თებერვლის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად 1.66% და 1.59% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებთ.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	იან.19	თებ.19	მარ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,60	23,75	23,98	
თვიური ცვლილება, %	-1,27	0,64	0,99	0,12
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12,22	12,43	12,50	
თვიური ცვლილება, %	-2,21	1,66	0,57	0,01
დაზღვეული დეპოზიტები	1,64	1,67	1,65	
თვიური ცვლილება, %	-6,10	1,59	-1,15	-1,89

2018 წლის იანვრიდან მოყოლებული 2019 წლის მარტის თვის ჩათვლით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა საშუალოდ 1.99%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 1.66%-ით და მათ შორის დაზღვეული დეპოზიტები 1.51%-ით იზრდებოდა (ცხრილი #2). 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 21.4%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 21.5%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები 8.75%-ით გაიზარდა(ცხრილი #3).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	ოქტ.18	ნოე.18	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,28	19,30	19,75	20,01	20,13	20,42	21,29	22,31	22,68	23,07	22,77	23,90	23,60	23,75	23,98	
თვიური ცვლილება, %	-	0,10	2,33	1,32	0,60	1,44	4,26	4,80	1,65	1,71	-1,28	4,95	-1,27	0,64	0,99	1,99
ფიზიკური პირების დეპოზიტები	10,45	10,45	10,31	10,59	10,70	10,84	10,99	11,57	11,82	12,19	12,17	12,50	12,22	12,43	12,50	
თვიური ცვლილება, %	-	0,04	-1,37	2,72	1,02	1,36	1,36	5,29	2,15	3,15	-0,19	2,72	-2,21	1,66	0,57	1,66
დაზღვეული დეპოზიტები	1,49	1,51	1,52	1,53	1,53	1,57	1,60	1,62	1,63	1,64	1,64	1,75	1,64	1,67	1,65	
თვიური ცვლილება, %	-	1,82	0,25	0,57	0,50	2,19	2,13	0,95	0,88	0,52	0,06	6,73	-6,10	1,59	-1,15	1,51

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	მარ.18	მარ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,75	23,98
კვარტალური ცვლილება, %	-	21,42
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,31	12,50
კვარტალური ცვლილება, %	-	21,25
დაზღვეული დეპოზიტები	1,52	1,65
კვარტალური ცვლილება, %	-	8,75

2019 წლის პირველ კვარტალში რეგულარული სადაზღვევო შენატანები თვიურად საშუალოდ 0.23%-ით იზრდებოდა (ცხრილი #4), ხოლო 2018 წლის იანვრიდან მოყოლებული საშუალო თვიურმა ზრდამ 0.78% შეადგინა. 2019 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა 9.78%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის კვარტალის მაჩვენებელს (ცხრილი #5).

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	ოქტ.18	ნოე.18	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	სამ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,19	1,21	1,21	1,22	1,23	1,25	1,30	1,31	1,31	1,32	1,30	1,39	1,31	1,33	1,32	
თვიური ცვლილება, %	-	1,55	0,55	0,53	0,56	2,01	3,46	1,15	0,08	0,47	-1,30	6,92	-5,50	1,25	-0,78	0,78

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	მარ.18	მარ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	3,61	3,96
კვარტალური ცვლილება, %	-	9,78

2019 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 13,20%. დაზღვეული დეპოზიტების 63% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 39% უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2019 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 3 963 122 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2019 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ათი განაცხადი გააკეთა, აქედან რვა განაცხადი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 15 იანვარს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 2 151 181,48 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 2 150 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 7,220%-ია.

2019 წლის 12 თებერვალს სააგენტომ შეისყიდა 385 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი 7,050%-ია, რისთვისაც 388 489,69 ლარის მოცულობის ინვესტიცია განახორციელა. ხოლო, 26 თებერვალს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 239 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 7,375%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 1 277 767,34 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

2019 წლის 12 მარტს ჩატარებულ აუქციონზე სააგენტომ 50 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი 7,010%-ია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 50 758,49 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

სააგენტოს მიერ შეძენილი 2 და 5 წლის ვადიანობის ობლიგაციების კუპონის განაკვეთი შესაბამისად 7,250% და 7,375%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი შესაბამისად 2021 წლის 17 იანვარი და 2023 წლის 27 სექტემბერია.

მართვის საინფორმაციო სისტემა და ანაზღაურების ინსტრუქცია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია „ანაზღაურების ოპერატიულად გაცემის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მართვის საინფორმაციო სისტემა და პროცედურები და არანაკლებ წელიწადში ერთხელ განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიმულაცია”.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, სააგენტომ შეუმუშავა მართვის საინფორმაციო სისტემის აღწერის ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რომელშიც მაქსიმალური სიზუსტით განისაზღვრა ის ფუნქციები და დავალებები, რომელიც პროგრამამ უნდა შეასრულოს.

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ძირითადი პროცესების ავტომატიზაცია და სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სპეციალური კომპიუტერული სისტემით ოპერირება წარმოდგენს სისტემის ფუნქციონირების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას.

2019 წლის პირველ კვარტალში სააგენტომ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის შექმნისთვის შესაბამისი კომპანიის შესარჩევად, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი.

ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების მომზადება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანია უზრუნველყოფს სააგენტოსთვის უნიკალური პროდუქტის შექმნას, ასევე მომდენო 1 წლის მანძილზე გაწევს საკონსულტაციო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებას და ჩართული იქნება პროგრამის გამოცდის პირველ სიმულაციურ ტესტში.

მართვის საინფორმაციო სისტემის არსებობას აქვს რიგი უპირატესობები:

- პროცესები სრულად ავტომატიზებულია - შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური შეცდომის ფაქტორი და საოპერაციო რისკი;
- იზოგება დიდი დროითი რესურსი - რამდენადაც ხდება ამოცანების მყისიერი შესრულება. კანონის ამჟამინდელი ჩანაწერით, ასანაზღაურებელი თანხების გამოთვლისა და კომპენსაციების გაცემისთვის სააგენტოს 20 კალენდარული დღე აქვს. აღნიშნული ვადა, ევროდირექტივის შესაბამისად, 7 დღემდე უნდა

შემცირდეს. დასახული ამოცანის ასეთ ვადაში შესრულება პროცესის ავტომატიზაციის გარეშე არარეალურია და ამასთან, ნებისმიერ სხვა ფორმატში მონაცემების დამუშავებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომების მაღალი რისკი;

- სისტემა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას სასურველი კრიტერიუმების (თანხების მოცულობა, მოქალაქეობა, ვალუტა და ა.შ.) მიხედვით;
- სისტემით მოხდება სააგენტოსა და (ანაზღაურების პროცესის განმახორციელებელ) აგენტ ბანკს შორის ურთიერთობა და ანაზღაურებული დეპოზიტების რეესტრის წარმოება, რაც სააგენტოს მისცემს პროცესის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგის შესაძლებლობას.

მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციაზე, რაც ასევე წარმოადგენს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას. საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ინსტრუქციის შემუშავებაში, სააგენტოს კონსულტაციას უწევს მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ექსპერტი. მეორე კვარტალში დაგეგმილია მისიის ვიზიტი სააგენტოში. ექსპერტი უშუალოდ ადგილზე გაეცნობა მართვის საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის პროცესს და საწყის ეტაპზევე გასცემს რეკომენდაციებს.

წლიური ანგარიში

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, სააგენტომ შეიმუშავა და შესაბამის უწყებებს წარუდგინა 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში. კერძოდ, ანგარიში გაეგზავნა საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს, ასევე გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ანგარიშში შეჯამებულია 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები, დეპოზიტებისა და კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული რეგულარული სადაზღვევო შენატანების ცვლილების დინამიკა. თემის მნიშვნელობის გათვალისწინებით, დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედების შემდეგ დამდგარი პირველი სადაზღვევო შემთხვევის მიმდინარეობა - მოსამზადებელი სამუშაოები, საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობა,

ანაზღაურების გაცემის მიზნით კომერციული ბანკის შერჩევა და პროცესის გამართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ანგარიშის ცალკე თავში ჩამოთვლილი და განმარტებულია ყველა ის ნორმატიული აქტი და დოკუმენტი, რომელიც სააგენტოში მისი დაფუძნების შემდეგ შემუშავდა და რომლითაც უზრუნველყოფილია როგორც სისტემის, ისე ორგანიზაციული ფუნქციონირების გამართულობა.

წლიურ ანგარიშში აღწერილია სააგენტოს ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ პარტნიორ უწყებებთან, ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხები და ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. ანგარიშში სააგენტომ წარმოადგინა 2018 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მონაცემები.

ევროდირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი

სააგენტოში შემუშავდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებული ევროდირექტივების და მასთან ქართული კანონის შესაბამისობის ანალიზი. დეპოზიტების დაზღვევის სქემებზე ევროკავშირში პირველი დირექტივა 1994 წელს შემუშავდა **(94/19/EC)**, რომელიც 2014 წელს გაცილებით ფართო, ყოვლისმომცველი და დეტალური ახალი დირექტივით **(2014/49/EU)** ჩანაცვლდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ ვალდებულება 1994 წლის დირექტივის შესრულებაზე აიღო, მხოლოდ იმ დათქმით, რომ დააწესებდა განსხვავებულ სადაზღვევო ზღვარს ეკონომიკური გარემოს და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, ასოცირების შეთანხების შესაბამის (მე-15) დანართში არის შემდეგი ჩანაწერი: „ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. თუმცა, საქართველო უფლებამოსილია განიხილოს განსხვავებული ზღვარი, ვიდრე ეს ამ დირექტივით არის გათვალისწინებული და წარუდგინოს წინადადება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარებების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა“. აღნიშნული ვადა მიმდინარე წლის ბოლოს იწურება. სააგენტო მართავს კონსულტაციებს შესაბამის უწყებებთან წინადადების მომზადების და წარდგენის ფორმატთან დაკავშირებით.

2014 წლის განახლებულ დირექტივაში ასახული ცვლილებების შესრულება ამ დროისთვის არ წარმოადგენს ქართული მხარის ვალდებულებას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ასოცირების შეთანხმების დანართში შესაბამის ცვლილებაზე, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ახალ დირექტივასთან დაახლოების ვადები. სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით.